საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში
2020
მაისი

03.06.2020
www.geostat.ge

03.06.2020

ინფლაცია საქართველოში
2020 წლის მაისი

2020 წლის მაისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.2 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 6.5 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება **საბაზო ინფლაციას**[1], აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2020 წლის მაისში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო **თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის**[2] მაჩვენებელი 5.4 პროცენტით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში წინა თვესთან შედარებით.



* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

[1] **საბაზო ინფლაციის** გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

[2] **თამბაქოს გარეშე საბაზო ინფლაციის** გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; თამბაქო; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

03.06.2020

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სასტუმროები, კაფეები და რესტორნები: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 4.3 პროცენტიანი მატება, რაც შესაბამისად, 0.22 პროცენტული პუნქტით აისახა თვის ინდექსზე. ფასები გაიზარდა საზოგადოებრივი კვების ქვეჯგუფზე (4.4 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაზრდილია 1.3 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა თვის ინდექსში 0.1 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების ზრდა დაფიქსირდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობების ქვეჯგუფზე (2.8 პროცენტი);

ტრანსპორტის ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 2.4 პროცენტიანი კლება, რაც -0.27 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. ფასები შემცირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (-4.4 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2020 წლის მაისის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.



* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

03.06.2020

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 14.7 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 4.58 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (47.1 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (24.6 პროცენტი), თევზეული (17.1 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (14.5 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (13.9 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (13.5 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (13.1 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (9.5 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (9.2 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (2.7 პროცენტი);

ტრანსპორტი: მოცემულ პერიოდში ფასები შემცირდა 4.6 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში შეადგინა -0.57 პროცენტული პუნქტი. ფასების კლება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (-6.9 პროცენტი).

ყოველთვიური ინფლაცია



03.06.2020

წლიური ინფლაციის დონე საქართველოში

(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული

ტელ.: (+995 32) 236 72 10 (400)

E-mail: gtetrauli@geostat.ge

შენიშვნები

• ფასების შეგროვების ძირითადი პრინციპები:

ინფლაციის მაჩვენებლის გაანგარიშების მიზნით ფასების შეგროვება ხორციელდება ყოველი თვის 10-დან 20 რიცხვის ჩათვლით, დაახლოებით 1800-მდე საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტზე, ქვეყნის 6 დიდ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავსა და ზუგდიდში. სამომხმარებლო კალათა იდენტურია ექვსივე ქალაქისთვის. 2020 წლის მაისში საველე სამუშაოები ჩატარდა აღნიშნული ვადების სრული დაცვით.

• მაისში გამოყენებული ფასების შეგროვების მეთოდები:

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, საქსტატი გადავიდა მონაცემთა შეგროვების ალტერნატიულ მეთოდებზე. კერძოდ, ფასების რეგისტრაციისას მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ინტერვიუერების პირადი ვიზიტი ობიექტებზე, ამის ნაცვლად კი გამოყნებელ იქნა ონლაინ და სატელეფონო გამოკვლევა. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს მონაცემთა შეგროვების თანამედროვე მეთოდების - სკანერული მონაცემების და ვებ-გვერდიდან მონაცემთა ავტომატური გადმოტვირთვის მეთოდის (web-scraping) დანერგვა.

• COVID-19 პანდემიის ზეგავლენა სამომხმარებლო ფასებისა და ტარიფების გამოკვლევაზე

პანდემიის პერიოდში დაწესებული შეზღუდვები გარკვეულწილად აისახა ფასების შეგროვების პროცესზეც. კერძოდ, არ ფუნქციონირებდა ზოგიერთი საცალო გაყიდვის და მომსახურების ობიექტი, რამაც შეუძლებელი გახადა ფასების გარკვეული ნაწილის დაფიქსირება. კერძოდ, გამოკითხვის პერიოდში 1800 ობიექტიდან დროებით არ ფუნქციონირებდა 772 ერთეული, რის შედეგადაც ფასების მონაცემთა ბაზის საერთო რაოდენობის დაახლოებით 56% იქნა მოძიებული.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგიების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ვერ ხერხდება ბაზარზე კონკრეტული პროდუქტის მოძიება, და შესაბამისად, შეუძლებელია მასზე რეალური ფასის და ინდექსის დადგენა, რეკომენდებულია **პირობითი ფასების გაანგარიშება, ანუ ფასების იმპუტაცია.**

ფასების იმპუტაციის მეთოდის დეტალური აღწერა იხილეთ სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების სახელმძღვანელოში (თავი 4).